ხელშეკრულება №11

ქალაქი ლაგოდეხი 29 დეკემბერი 2023 წელი

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ჯონდო მდივნიშვილის სახით, (შემდგომში მერია) და მეორეს მხრივ ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების და მზრუნველობა მოკლებულთა ორგანიზაცია „მადლის" (შემდგომში - მადლი) (ს/კ 233146388) თავმჯდომარის თორნიკე გოგაშვილის (პირადი N25001039232) სახით, ვსარგებლობთ რა ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილებებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოდგენს:

1.1 2024 წლის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამით გათვალიწინებული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, პირთა მხარდაჭერა, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარება, დღის ცენტრის ბენეფიციართა ტრანსპორტირების მომსახურების თანადაფინანსება.

1.2 ამ მუხლის ,,1.1" პუნქტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხა მიმართული იქნება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან დღის ცენტრში და ცენტრიდან სახლში ყოველდრიურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა (გარდა შაბათი -კვირისა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეებისა) ტრანსპორტირებისათვის.

1.3 ამ მუხლის „1.1" პუნტით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საერთო რაოდენობა შეადგენს სრულად - 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარს, რომელიც გამოიყენება ყოველთვიურად მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება - მოვალეობები.

2.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) მოითხოვონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულება;

ბ) მონიტორინგი გაუწიონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ხარჯვას.

2.2 მხარეები ვალდებულები არიან:

ა) დროულად და წერილობით აცნობონ ერთმანეთს ხელშკრულების პირობების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

ბ) ჯეროვნად დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. მონიტორინგის პირობები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს უწევენ მუნიციპალიტეტის მერიისა და ორგანიზაცია მადლის წარმომადგენლები ერთობლივად;

3.2 მონიტორინგი გულსხმობს მხარეების უფლებას, შეამოწმონ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმდინარეობა, მხარეების მიერ ამისათვის გამოყოფილი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც ასახული იქნება წარმომადგენლების მიერ შედგენილ და ხელმოწერილ შესაბამის აქტში.

მუხლი 4. ხელშეკრულელბებში ცვლილებების შეტანა

4.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არა აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულებების პირობები;

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

4.3.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 5. უფლებების გადაცემა

5.1. ორგანიზაცია ,,მადლს" არა აქვს უფლება მერიის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანდ ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობები.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2024 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე;

6.2. მხარეებს უფლება აქვთ მოშალონ ხელშეკრულება ცალმხრივად, ურთიერთშეთანხმებით პატივსადები მიზეზის არსებობისას, მაგრამ ამის შესახებ 1(ერთი) თვით ადრე მაინც უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 7. ფორს -მაჟორი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე უარს ამბობს თავისი მოვალეობების შესრულებაზე ფორს-მაჟორული მოვლენები ზემოქმედების გამო, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ მხარემ მიიღო ყველა ზომა, გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და მოძებნა ალტერნატიული ზომები, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად შესასრულებლად;

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებიტ ნაკისრი ველდებულებების შესრულების ახალ პირობებზე და ვადებზე.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

8.1 საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. მხარეების მიმართავენ მთელ ძალისხემევას წარმოშობილი დავის ან/და უთანხმოების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისათვის, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებზე;

9.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.

მუხლი 10 . მხარეთა რეკვიზიტები:

ა.ა.ი.პ შეზღუდული შესაძლებლობებისა
და მზრუნველობა მოკლებულთა
ორგანიზაცია ,,მადლი"
მისამართი: ქალაქი ლაგოდეხი, ჯანელიძის ქუჩა
საიდენტიფიკაციო კოდი: 233146388

თავმჯდომარე
თორნიკე გოგაშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: 26 მაისის ქ.N25
საიდენტიფიკაციო კოდი:233144987

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი
ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № __

2023 წლის _____

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ლაგოდეხში, ჯანელიძის ქუჩაზე მდებარე /ს.კ. 54.01.51.044/ შენობის პირველი სართულის-205.7კვ.მ უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობებისა და მზრუნველობა მოკლებულთა ორგანიზაცია მადლს"/ საინდენტიფიკაციო ნომერი: 233146388/.

მუხლი 2
განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3
განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია